USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №13
ოქტომბერი, 2020

თბილისი, 2020

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

მარიამ ლაცაბიძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

ცესკოს დადგენილება სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის შესახებ

19 ოქტომბერს ცესკომ დადგენილებით განსაზღვრა საარჩევნო პროცედურები და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.[1] დადგენილება შეეხებოდა ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანების არჩევნებში მონაწილეობის წესებს, ასევე, გავრცელდა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და არჩევნებში ჩართულ მხარეებზე.[2] დადგენილების მიხედვით, სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი პირების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, ცესკომ თითოეული მუნიციპალიტეტის საზღვრებში შექმნა არანაკლებ ერთი საარჩევნო უბანი, ხოლო თბილისში - არანაკლებ ათი.[3] საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციები განხორციელდა სპეციალური ჯგუფების მიერ, რომლებიც შემდგომ სტაციონარულ დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების ხმის მიცემას უზრუნველყოფდნენ.[4] ამ ჯგუფის თითოეული წევრი, ისევე როგორც საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილე, აღიჭურვა ეკიპირებით: ერთჯერადი ხალათით, ნიღბით, ხელთათმანით, დამცავი ფარითა და სადეზინფექციო საშუალებებით.[5] ამასთან, ჯგუფის წევრები ამომრჩეველს გადასატანი ყუთის სიასა და ბიულეტენს გადასცემდნენ ახლო კონტაქტის გარეშე, არანაკლებ 1,5-მეტრიანი დისტანციის დაცვით.[6] რეგისტრირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, აკრედიტებულ მედიას და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა, დაჰკვირვებოდნენ კენჭისყრის დღის მიმდინარეობასა და ხმების დათვლის პროცესს.[7] საარჩევნო სუბიექტს, იმის მიხედვით, თუ რამდენი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაც შედგებოდა შესაბამის საარჩევნო უბანში, უფლება ჰქონდა დაენიშნა თითო წარმომადგენელი, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს - თითო დამკვირვებელი, საერთაშორისო ორგანიზაციებს - თითო დამკვირვებელი ერთ თარჯიმანთან ერთად, ხოლო პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს - 2-2 წარმომადგენელი.[8]

---

[1] „საარჩევნო ადმინისტრაცია სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას სანიტარიულ-ჰიგიენური წესების სრული დაცვით უზრუნველყოფს“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 19.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36qzgAQ, განახლებულია: 13.11.2020.

[2] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის №45/2020 დადგენილება.

[3] იქვე, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[4] იქვე, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[5] იქვე, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[6] იქვე, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

[7] იქვე, მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტი.

[8] იქვე, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

თვითიზოლაციაში მყოფ ამომრჩევლებს, არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, ზეპირი განცხადებით უნდა მიემართათ ცესკოს საინფორმაციო ცენტრისთვის 24 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის 22:00 საათის ჩათვლით.[9] ცესკოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა გახანგრძლივდა 27 ოქტომბრის 14:00 საათამდე.[10]

საია მიიჩნევს, რომ ცესკოს მიერ შემუშავებული დოკუმენტი ადეკვატურად პასუხობს არსებულ გამოწვევებს, თუმცა წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ მასზე მსჯელობისთვის საკმარისი დრო არ იყო გათვალისწინებული. შედეგად, ორგანიზაციას ფორსმაჟორში მოუწია პროექტის შეფასება.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხარდაჭერით შემუშავებული შეთანხმებები

ა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან

ცესკოს თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.[11]

მემორანდუმის მიზანია, არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების ხელშესაწყობად საარჩევნო პერიოდში მხარეებს შორის თანამშრომლობისთვის დამატებითი ფორმებისა და სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრა.[12] მემორანდუმი ითვალისწინებს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ცესკოს შორის, კომპეტენციის ფარგლებში, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას არჩევნების დღისთვის,[13] ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას,[14] ასევე, ინფორმაციის კოორდინირებულ გაცვლას.[15]

საია მიესალმება ამ მემორანდუმის გაფორმებას და იმედოვნებს, რომ შეთანხმება ხელს შეუწყობს არჩევნების მშვიდ და წყნარ გარემოში ჩატარებას.

ბ. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე

ცესკომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და 13 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გააფორმა.[16] მემორანდუმი საარჩევნო ადმინისტრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო შეხვედრების საფუძველზე შემუშავდა.[17]

მემორანდუმზე ხელმომწერი მხარეები იზიარებენ ეუთოს კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტში

---

[9] იქვე, მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი.

[10] „თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლებისთვის გადასატანი ყუთის მოთხოვნის ვადა გახანგრძლივდა“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 19.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38KD3fd, განახლებულია: 13.11.2020.

[11] „ცესკოს თავმჯდომარემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 19.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3eYttXp, განახლებულია: 14.11.2020.

[12] ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ktl6Eb, განახლებულია: 13.11.2020.

[13] იქვე, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[14] იქვე, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

[15] იქვე, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი.

[16] „ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 16.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36wyaDO, განახლებულია: 13.11.2020.

[17] იქვე.

ჩამოყალიბებულ მოსაზრებას, რომ უნდა არსებობდეს „ნათელი განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიას შორის“, ხოლო სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს „პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები აუცილებელი სამართლებრივი გარანტიებით, რათა მისცეს მათ ერთმანეთთან შეჯიბრების საშუალება კანონისა და ხელისუფლების წინაშე თანაბარი პირობების საფუძველზე“. ასევე, თანხმდებიან, რომ საარჩევნო კოდექსის შესაბამისი ნორმები მათ მიერ განმარტებულია მემორანდუმის ტექსტის მიხედვით. ამასთან, ადმინისტრაციული და სასამართლო წარმოების დროს ისინი იხელმძღვანელებენ მემორანდუმში მითითებული განმარტებებით.[18]

საია უერთდება მემორანდუმს და იმედოვნებს, რომ ჩართული მხარეები იხელმძღვანელებენ ერთობლივი ხედვითა და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით.

ეუთო/ოდირის 2020 წლის არჩევნების შუალედური ანგარიში

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა, შეზღუდული სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, გამოაქვეყნა 2020 წლის არჩევნების შუალედური ანგარიში, რომელიც ფარავს 25 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე პერიოდს.[19]

დოკუმენტი მიმოიხილავს ზოგად პოლიტიკურ კონტექსტს, კონსტიტუციურ ცვლილებებსა და საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმას.[20] ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, ეუთო/ოდირის რეკომენდაციებიდან ზოგიერთი ნაწილობრივ ან მთლიანად არის გათვალისწინებული,[21] თუმცა ნაწილი კვლავ უპასუხოდ დარჩა. კონკრეტულად, საუბარია წინასაარჩევნო აგიტაციასთან, საარჩევნო ადმინისტრაციასთან, კამპანიის ხარჯებთან, გასაჩივრების პროცესთან, ხმების ხელახალ დათვლასა და გაუქმებასთან დაკავშირებულ რეგულაციებზე.[22] ეუთო/ოდირი მიიჩნევს, რომ არსებული საკანონმდებლო ჩარჩო დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად ძირითად საფუძველს უზრუნველყოფს, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა მათ ეფექტიან აღსრულებას ენიჭება.[23]

ანგარიშის მიხედვით, ცესკომ არჩევნებისთვის მზადების ტექნიკურ ნაწილში ვადები დაარღვია.[24] ის რეგულარულად ატარებდა სხდომებს, რომლებიც ღია იყო აკრედიტებული საარჩევნო სუბიექტების, დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის.[25] აღნიშნულია, რომ საუბნო კომისიების თავმჯდომარეები, რომლებიც პარტიული კვოტით იყვნენ დანიშნულები, უმეტესწილად, „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენდნენ.[26] ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არაერთმა წარმომადგენელმა გამოთქვა უკმაყოფილება ქვედა დონის კომისიების მიკერძოებულობასთან დაკავშირებით.[27]

ანგარიშში საუბარია წინასაარჩევნო პერიოდში ძალადობის რამდენიმე შემთხვევაზე, ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვაზე, ასევე, COVID-19-თან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ დაწესებულ სოციალურ დახმარებებზე, როგორც წინასაარჩევნო გამოწვევაზე.[28]

---

[18] „მემორანდუმი საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 16.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lHh4t6, განახლებულია: 13.11.2020.

[19] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის 2020 წლის 16 ოქტომბრის შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nlWAqq, განახლებულია: 13.11.2020.

[20] იქვე, გვ. 4-7.

[21] იქვე, გვ. 7.

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] იქვე, გვ. 8.

[25] იქვე.

[26] იქვე, გვ. 9.

[27] იქვე.

[28] იქვე, გვ. 13.

ანგარიში ასევე მოიცავს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, მედიის, დავებისა და ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.[29]

უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობა

საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება უწყებათაშორისი კომისია.[30] უწყებათაშორისი კომისია იქმნება არაუგვიანეს არჩევნების წლის 1-ლი ივლისისა[31] და საქმიანობს ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღემდე.[32] უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება ბრძანებით, ხოლო მისი საქმიანობის წესი – კომისიის დებულებით, რომელთაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.[33] კომისია იკრიბება თავმჯდომარის მოწვევით, საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 2 კვირაში ერთხელ, ხოლო საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ – კვირაში ერთხელ მაინც.[34] დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია, რეკომენდაციით მიმართოს ნებისმიერ საჯარო მოსამსახურეს, ადმინისტრაციულ ორგანოს, ცესკოს, გონივრულ ვადაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით.[35]

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის კომისია 9-ჯერ შეიკრიბა. ის იხილავდა საჯარო მოსამსახურეების მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე იმ დარღვევებს, რომლებსაც პოლიტიკური პარტიები ან დამკვირვებელი ორგანიზაციები აწოდებდნენ. სხდომაზე განიხილებოდა შემთხვევები, რომლებიც უკავშირდებოდა აგიტაციაში უკანონოდ მონაწილეობას, ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენებისა და წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებით გამოვლენილ პრობლემებს.[36] გარდა ამისა, საუბარი ეხებოდა პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლო ფაქტებს, თუმცა რიგ შემთხვევაში კომისიამ პირადი ან პოლიტიკური ინტერესების არსებობა ვერ დაადგინა.[37] სხდომებზე ასევე განიხილებოდა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებზე ზეწოლისა და მუქარის შემთხვევები, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას მომხდარი პროვოკაციები და დაპირისპირების ფაქტები.[38]

7 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე, კომისიამ განიხილა რა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებული ინფორმაცია და სახელმწიფო უწყებების მხრიდან მასზე რეაგირების შედეგები, გამოსცა რეკომენდაციები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებისთვის.[39] კომისია მოუწოდებს მხარეებს:

ა) თავი შეიკავონ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობისგან, მათ შორის, სოციალური ქსელების გამოყენებით, სამუშაო საათების განმავლობაში ან/და მაშინ, როდესაც უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს;

---

[29] იქვე. გვ. 14-20.
[30] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[31] იქვე, 48-ე მუხლის მე-4 ნაწილი.
[32] იქვე, 48-ე მუხლის მე-4[1] ნაწილი.
[33] იქვე, 48-ე მუხლის მე-5 ნაწილი.
[34] იქვე.
[35] იქვე, 48-ე მუხლის მე-9 ნაწილი.
[36] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმი N5, იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 08.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3eZolg1, განახლებულია: 14.11.2020.
[37] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმი N6, იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 22.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nqt82K, განახლებულია: 14.11.2020.
[38] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმი N7, იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 07.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36zfRht, განახლებულია: 14.11.2020.
[39] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 2020 წლის 07 ოქტომბრის რეკომენდაცია.

ბ) საკუთარი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მაქსიმალურად გაემიჯნონ საარჩევნო პოლიტიკურ პროცესებს ისე, რომ არ დარჩეს აღქმა, თითქოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ მოქმედებენ;

გ) მაქსიმალურად შეიკავონ თავი ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის წინააღმდეგ მიმართულ შეხვედრებში მონაწილეობისა და ძალადობისგან, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე, თუნდაც, სიტყვიერი დაპირისპირება და კანდიდატებმა შეფერხების გარეშე შეძლონ ამომრჩეველთან კონტაქტი.

კომისიამ რეკომენდაციებით მიმართა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს და მოუწოდა, რომ მისცენ მითითება საკუთარ მხარდამჭერებს, განსაკუთრებით საჯარო მოხელეებს, თავი შეიკავონ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისა და კონფლიქტისგან.[40] ასევე, კატეგორიულად აუკრძალონ კონკურენტი პარტიის სააგიტაციო მასალის დაზიანება ან მის განთავსებაში ხელის შეშლა.[41]

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე 3 დღით ადრე კომისიამ გამოსცა რეკომენდაციები საგანმანათლებლო რესურსცენტრების, საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებისთვისაც.[42]

საერთაშორისო მხარდაჭერა სამართლიანი საარჩევნო გარემოსა და არჩევნებისთვის

ევროკავშირმა განაცხადა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს ევროპელ დიპლომატთა გუნდი დააკვირდება.[43] განცხადების მიხედვით, დიპლომატებისგან შემდგარი 70-ზე მეტი სადამკვირვებლო გუნდი საქართველოში 1000-ზე მეტ საარჩევნო უბანზე მივა.[44] გუნდი შედგება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლებისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოების თანამშრომლებისგან.[45] „ეს არის ევროკავშირის ურყევი მხარდაჭერის დემონსტრირება ქართული დემოკრატიის მიმართ და ჩვენი მზადყოფნა, რომ უფრო მეტად გავამყაროთ ნდობა ამ არჩევნების მიმართ დამატებითი საერთაშორისო „თვალისა და ყურის“ საშუალებით”, - განაცხადა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში კარლ ჰარცელმა.[46]

არჩევნების მოახლოებას გამოეხმაურა აშშ-ის კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე ადამ კირზინგერი და იმედი გამოთქვა, რომ ქართველ ხალხს შეეძლება, სამართლიან და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესში მიიღოს მონაწილეობა.[47] „ეს (არჩევნები) მათი დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია და უნდა ჩატარდეს ჩარევისა და ინციდენტების გარეშე,“ - განაცხადა კირზინგერმა.[48]

წინასაარჩევნო ვითარება საქართველოში შეაფასა გერმანიის ელჩმაც და განაცხადა, რომ აქტიურად აკვირდება გარემოს.[49] „მოხარული ვარ, რომ ძალადობრივი ინციდენტები, როგორც

---

[40] იქვე.
[41] იქვე.
[42] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 2020 წლის 28 ოქტომბრის რეკომენდაცია.
[43] „ევროკავშირი აცხადებს, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს ევროპელ დიპლომატთა გუნდი დააკვირდება“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, 29.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kzqzJE, განახლებულია: 14.11.2020.
[44] იქვე.
[45] იქვე.
[46] იქვე.
[47] „ადამ კირზინგერი - არჩევნებმა ჩარევისა და ინციდენტების გარეშე უნდა ჩაიაროს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 27.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pvuOJO, განახლებულია: 14.11.2020.
[48] იქვე.
[49] გერმანიის ელჩი - „მოხარული ვარ, რომ ძალადობრივი ინციდენტები შემცირდა, მაგრამ მივიღეთ ბევრი ცნობა საარჩევნო გარემოს სხვადასხვა ასპექტზე, რომელიც ზოგჯერ რთული შესაფასებელია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 27.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3krg1fL, განახლებულია: 14.11.2020.

ჩანს, შემცირდა მოცემული მომენტისთვის, მაგრამ ჩვენ მივიღეთ ბევრი ცნობა საარჩევნო გარემოს სხვადასხვა ასპექტზე, რომლებიც შევაგროვეთ და რომლებიც ზოგჯერ რთული შესაფასებელია," - თქვა მან.[50]

ამ საკითხზე ისაუბრა აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმაც და ქართველ ამომრჩეველს, კოვიდპანდემიის რეგულაციების დაცვით, არჩევნებზე უპირობო მისვლისკენ მოუწოდა.[51] მან ხაზი გაუსვა არჩევნების მშვიდ, თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარების აუცილებლობას.[52] დეგნანის განცხადებით, სამართლიანი არჩევნები თავისუფალი უნდა იყოს დაშინება-მოსყიდვისგან, ვერავინ ვერ უნდა აიძულოს ამომრჩეველი, ფოტო გადაუღოს ბიულეტენს ან დაემუქროს სამსახურიდან გათავისუფლებით.[53] კელი დეგნანის თქმით, ამგვარი არჩევნები ნატოსკენ მიმავალ გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.[54]

არჩევნებს ეხმიანება აშშ-ის სენატის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე სენატორი ჯიმ რიში და აცხადებს, რომ ეს დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი გამოცდაა.[55] „ამ არჩევნების სანდოობა ისე მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს. მე მოველი, რომ ვიხილავ საქართველოს მიერ მისი დემოკრატიული არჩევანის და სტაბილურობის დადასტურებას თავისუფალი, სამართლიანი და სანდო არჩევნების ჩატარებით. ყველა მხარემ უნდა გააგრძელოს საკანონმდებლო ჩარჩოს პატივისცემა, რომელზეც პოლიტიკური პარტიები მიმდინარე წელს შეთანხმდნენ", – განაცხადა რიშმა.[56]

საია მიესალმება საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების დაინტერესებასა და მხარდაჭერას და მიიჩნევს, რომ მათი ჩართულობა ხელს უწყობს საქართველოში არჩევნების დემოკრატიულ და მშვიდ გარემოში ჩატარებას.

[50] იქვე.
[51] „ვისურვებდი, დასრულდეს ინდივიდების პოლიტიკა, რომელიც ყოფს საზოგადოებას" – დეგნანი, საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა", 28.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3f5gJhx, განახლებულია: 14.11.2020.
[52] იქვე.
[53] იქვე.
[54] იქვე.
[55] „რიში: ამ არჩევნების სანდოობა მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს", საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", 29.10.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Uql6cl, განახლებულია: 14.11.2020.
[56] იქვე.